

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ჩვენ უფრო მეტად ვგავართ, ვიდრე განვსხვავდებით

ადეიშვილი თეონა

სსიპ.ქ.ვანის №2საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

რეზიუმე

ნაშრომში აღწერილია ის სირთულები, რაც ინკლუზიური განათლების დანერგვას და განვითარებას ხვდება სკოლაში, აღწერილია მშობლების, ბავშვების დამოკიდებულება სხვადასხვა დარღვევის მქონე თანატოლების მიმართ. აღწერილია, რაოდენ მცირეა ინფორმირებულობა რეგიონებში და პატარა ქალაქებში დაუნის სინდრომის, აუტიზმის, შესახებ. როგორი სტიგმით უწევთ ცხოვრება ამ ბავშვებს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მოთხრობილია სხვადასხვა აქტივობებზე, რის მეშვეობითაც ხდება წინააღმდეგობა სტიგმასთან, ხდება ინფორმირებულობის გაზრდა.

საკვანძო სიტყვები: სტიგმა, დაუნის სინდრომი, აუტიზმი, ინკლუზიური განათლება

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა.....ეს უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამიტომ ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიცემას. ამასთანავე აუცილებელია, გავითავისოთ რა არის განათლება: მშრალი კანონების ცოდნა ქიმიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, დაზუთხული ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსები, თუ ეს არის, ერთმანეთზე მოფიქრალი მოქალაქეებისაგან შემდგარი ნამდვილი, სრულყოფილი საზოგადოების შექმნა. ემპათიის, სიყვარულის სწავლება ყოველგვარი გზებით.....ანუ არა მარტო ტვინის ვარჯიში, არამედ სულის შევსება სითბოთი და სილამაზით.....ასე გამოიყურება ჩემთვის

სტანდარტით მისაღწევი შედეგები: ბიოლოგიაში

ბიოლ. IX.6.4. აღწერს ადამიანში ზოგიერთი მენდელისეული ნიშნის (მაგ: თვალის ფერი, ყურის ბიბილოს ფორმა) მემკვიდრეობის სქემას. ასახელებს ზოგიერთი გენეტიკური დაავადებების, მაგ. დაუნის სინდრომის მიზეზებს.)

IX.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

IX.4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება.

XI.6.1. მოიპოვებს ინფორმაციას და ადარებს მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის მოქმედებას, მსჯელობს მათ ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე.

XI.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

როდესაც ჩვეულებისამებრ დავიწყე გენომური მუტაციების შესწავლა, სადაც ვახსენე 21-ე ქრომოსომის ტრისომია, ანუ დაუნის სინდრომი, მოსწავლეთა უმეტესობის რეაქცია იყო ასეთი...“ეს ბავშვები ვერ არიან, ხო, ფსიქიურად?“ ლაპარაკი შეუძლიათ?“ განათლებას იღებენ?“ „სკოლაში დადიან?“ „აუ, რა ცოდოები არიან!“ „მემკვიდრული არ ყოფილა, ყველას შეიძლება გაგვიჩნდეს?“ და ა.შ. მივხვდი რომ სტანდარტული გაკვეთილის ჩატარებით ვერაფერს შევცვლიდი, უბრალოდ ეს ბავშვები უფრო შეებრალებოდათ და ეცდებოდნენ, მათთან არანაირი საერთო არ ჰქონოდათ....სკოლებში, სადაც დაინერგა ინკლუზიური განათლება, დიდ პრობლემად იქცა ამ ბავშვების ადაპტირება გარემოსთან, ბავშვები და მშობლები სტიგმას აკრავენ სსსმ საჭიროების მქონე მოსწავლეებს, უმეტესობა თვლის რომ ისინი განსხვავებულნი არიან, ამიტომ ჯობს არ გაეკარონ. ნაკლები ინფორმირებულობის გამო მშობლები შვილებს უკრძალავენ ამ ბავშვებთან დაჯდომას, „რამე არ გადაგედოს, “ან ხშირია მშობელთა ე. წ. შემოტევები, „გადაიყვანონ სპეციალურ სკოლაში, ითრგუნება ჩემი შვილი ამათ საცოდაობაზე“, „სადმე სხვაგან ასწავლონ ამ ბავშვებს.“... პრობლემა ძალიან აქტუალური და მწვავე იყო. ერთ მხარეს იდგა სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება და მეორე მხარეს ამ იდეის განხორციელებაზე ფიქრის შეწყვეტა და მოსწავლეების ცნობიერების იგივე დონეზე დატოვება. რადგან აუცილებელია სკოლის მოსწავლეების, მშობლების ინფორმირებულობა და მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ, აუცილებელია სკოლის სოციალური გარემოს მომზადება და შემზადება ამ დიდი პროცესისათვის. რადგან პრობლემა მწვავედ იდგა, ცხადი ხდებოდა, რომ ჩვენი გარემო არ აპირებდა განსხვავებულის მიღებას. დავგეგმე პროექტი „ჩვენ უფრო მეტად ვგავართ, ვიდრე განვსხვავდებით...“

- საწყის ეტაპზე, მოსწავლეებს ვთხოვე ჩაგვეტარებინა კვლევა. უნდა დაგვედგინა ჩვენს რაიონში სხვადასხვა შეზღუდვისა და დაავადების მქონე ადამიანთა რაოდენობა და გამოგვეტანა ძირითადი დაავადებები. რადგან ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს და არც არსად ხდება ამ ბავშვთა აღრიცხვა, ეს ძალიან რთული პროცესი

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

აღმოჩნდა. მარტივი აღმოჩნდა იმ სკოლებში, სადაც ინკლუზიური განათლებაა. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ბევრი არ დადის სკოლაში, ზოგს ოჯახი მალავს, ზოგს პირობები არ აქვს სასიარულო (ეტლი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ა. შ), სტატისტიკა ზუსტი არ არის და აუცილებელია მისი გადახედვა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დარღვევებით სულ 62 ბავშვი აღმოჩნდა. აქედან გვყავს დაუნის სინდრომით დაავადებული, აუტისტი, ცერებრული დამბლით, ტუბერკულოზით, სხვადასხვა გონებრივი შეზღუდვით და ქცევის მართვის პრობლემებით. ამ დაავადებებიდან გამოვყავით

1. დაუნის სინდრომი

2. აუტისტი

- მეორე კვლევა ჩავატარეთ იმის შესახებ, თუ რა იცის საზოგადოებამ ამ დაავადებების შესახებ. აღმოჩნდა, რომ აუტიზმზე და დაუნის სინდრომზე ძალიან ცოტა იციან.
- შემდეგ ეტაპზე პროექტში მონაწილე ბავშვებისთვის ჩავატარე პრეზენტაცია, სადაც მიმოვიხილე ეს დაავადებები, სიმპტომები, მიზეზები და ვთხოვე ჯგუფებს, თავად გაემზადებინათ მსგავსი პრეზენტაციები, რადგან მათ მოუწევდათ ინფორმაციის გადაცემა.
- დავიწყეთ „ცნობიერების კვირეული“. ყველა კლასში მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ჩავატარეთ ინფორმაციული პრეზენტაციები, სადაც ვუყვებოდით, ვაჩვენებდით ფოტოებს, ვიდეოებს და ა.შ....
- ამ პერიოდს დაემთხვა 21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე... სკოლის ყველა კლასი და ყველა ბავშვი ჩაერთო აქციაში. გავამზადეთ ბროშურები, დავხატეთ პოსტერები, შევიძინეთ ფერადი წინდები. მომავლის კლასში ჩავრთეთ ვიდეორგოლები. ბავშვები გავიდნენ ქუჩებში, საზოგადოებაში. არიგებდნენ ბროშურებს, საუბრობდნენ დაუნის სინდრომზე.
- ვესტუმრეთ დაუნის სინდრომით დაავადებულ 8 წლის ნინიკოს. შევავროვეთ თანხა, ვუყიდეთ საჩუქრები, ვესაუბრეთ, აგვავსო მზით და სითბოთი, თავის ოცნებებზე მოგვიყვა... ოცნებობს დიდ ზეიმზე, მუსიკაზე, ფერად ბუშტებზე და ულამაზეს კაბაზე.....
- ასეთივე აქციებით აღვნიშნეთ აუტიზმის დღე. შევხვდით აუტიზმით დაავადებულ პატარა მარიამს ვაჩუქეთ ბუშტები და ტკბილეული.

ჩვენი შემდეგი აქციაა „სიკეთე გადამდებია“. ამ მიზნით სკოლაში დაიდგმება სიკეთის ყუთები ტანსაცმლისთვის, ფეხსაცმელისთვის, სათამაშოებისთვის და ა.შ. რადგან ჩვენი

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ნინიკო და მარიამი სოციალურად დაუცველები არიან, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან და არ აქვთ ელემენტარული პირობები, გვინდა, რომ ბედნიერი წუთები ვაჩუქოთ...გვინდა რომ აქტიურად ჩავრთოთ ყველა აქციაში.....გვინდა რომ ყველა აქტივობაში მონაწილეობდნენ....

ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენმა ბავშვებმა უამრავი უნარ-ჩვევა შეიძინეს.....

1. შეძლეს ერთმანეთისგან გამოეყოთ მემკვიდრული და არა მემკვიდრული დაავადებები;
2. აღწერეს, ნახეს, იმსჯელეს დაუნის სინდრომზე, მის სიმპტომებზე, მათ შესაძლებლობებზე;
3. ამ ბავშვებთან შეხვედრით მათ განუვითარდათ ემპათიის გრძნობა;
4. ისინი სრულ ინფორმაციას ფლობენ გენომურ და ც.ნ.ს-ის ანომალიებზე.
5. ნელ-ნელა, თანდათან, მოკვლევით, დანახვით, შესწავლით გაარკვეეს, თუ რა არის დაუნის სინდრომი, აუტიზმი, იციან მიზეზები, სიმპტომები, პრევენციის გზები....
6. ისინი იქნებიან ჰუმანური მოქალაქეები, კარგი მშობლები, შვილს არ ეტყვიან: „ის აუტისიტია არ მიეკარო, რამე არ გადაგედოსო“, „ის დაუნია, რა უნდა ამ სკოლაში?! „წაიყვანეთ სადმე!“ და ა.შ.არასოდეს მოაკლებენ ზრუნვას და მხარდაჭერას, თუ მათ შვილს მსგავსი პრობლემები ექნება, არ ჩაკეტავენ სახლში და არ დაუმალავენ მის არსებობას სამყაროს.
7. ისინი ყოველთვის, ყოველგვარ სტიგმას დაამარცხებენ, იქნებიან სოციუმის აქტიური წევრები, ზუსტად დააკმაყოფილებენ განათლების ეროვნულ მიზნებს და იქნებიან აქტიური და სრულფასოვანი მოქალაქეები.

რადგან „ჩვენ იმაზე მეტად ვგავართ ვიდრე განვსხვავდებით“....

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პატრისია ლოგან ოლვეინი- ‘დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები’
2. ინკლუზიური განათლება- ‘ანა ლალიძე, მაია ბაგრატიონი, თათია პაჭკორია’
3. ინკლუზიური განათლება - ‘ვისწავლოთ ერთად’